ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №14

ქალაქი ქუთაისი

2 ივლისი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის "გენდერის" დარბაზი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
5. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
6. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი
7. ლია გვენეტაძე - მწერალი, ჟურნალისტი;
8. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
9. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
10. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
11. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი;
12. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
13. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.**

**სხდომას უძღვებოდა:** ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

**ნოდარ ჯიქია** (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

**დღის წესრიგი**

**ხდომა 14**

1.რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ქალაქ ქუთაისის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში - მომხსენებელი ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დადგენილების პროექტის შესახებ. მოხსენებელი მამუკა კუბლაშვილი. ააიპ ქუთაისის არქიტექტურის სააგენტოს უფროსის მოადგილე.
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქუჩებზე მინდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხი - ტაბიძე, რუსთაველი და ჯავახიშვილი - ინიციატორი ნოდარ ჯიქია.
6. კოლონადა, წერეთლის ქუჩა - ინიციატორი ლია გვენატაძე
7. 35 ნომერი მიკროავტობუსის საკითხი. ხარვეზები ჯავახიშვილზე ტრანსპორტის მოძრაობის მხრივ. - ინიციატორი ლია გვენეტაძე.
8. მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება: ახალგაზრდობის გამ. უნივერსიტეტის მე 7 კორპუსის წინ და ჭავჭავაძე - ნიკეას ქ. გადაკვეთაზე. - ინიციატორი ომარ კიკვიძე
9. სხვადასხვა.
10. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. ქალაქ ქუთაისის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში - მომხსენებელი ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში.
ანგარიში იხილეთ დანართი 1.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, მამუკა თევდორაძე, თეიმურაზ ამყოლაძე, გიორგი ჭიჭინაძე, თამარ ხეცურიანი, მაია ყუფარაძე.

საბჭოს წევრებმა ანგარიში მოიწონეს და წარმატებები უსურვეს მომხსენებელს. და გამოთქვეს მზაობა, მრჩეველთა საბჭოსა და გენდერული ტანამშრომლობის საბჭოს შემდგომი თანამშრომლობისათვის.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დადაგენის პროექტის ახალი რედაქციის შესახებ. მოხსენებელი მამუკა კუბლაშვილი. ააიპ ქუთაისის არქიტექტურის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

მომხსენებელმა ისაუბრო მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებებიდან გამომდნარე წესში იმ ცვლიელბების და დამატებების შეტანის შესახებ, რომელსაც სპეციალური სამუშაო ჯგუფი განიხალავს. სავარაუდო ცვლილებები განხორციელდება ზონირების მიმართულებით. სტატუსის გარეუბნის გაუქმებისა და ცენტრის სტატუსის შემოღება, რაც უახლოეს დღეებში იქნება დამტკიცებული ქუთაისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, მამუკა თევდორაძე, თეიმურაზ ამყოლაძე, გიორგი ჭიჭინაძე, თამარ ხეცურიანი, მაია ყუფარაძე.

საბჭომ ცნობად მიიღო და მოიწონა  წარმოდგენილი დადგენილების პროექტი , თუმცა საბჭომ ნ. ჯიქიამ უკმაყოფილება გამოთქვა როგორც მერის ასესევა ა(ა)იპ-ის მესვეურების მიმართ, რადგან დაპირებისამებრ აღნიშნული დადგენილების პროექტი განსახილველად უნდა წარდგენოდა მრცეველთა საბჭოს შემდეგი რეაგირებისათვის.
კონკრეტული მომხსენებლის წარმოუდგენლობის გამო საბჭოს წევრებმა დარჩენილ საკითხებზე მოკლედ ისაუბრეს.

მიწისქვეშა გადასასვლელებთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ მიემართოს შემდეგ სხდომაზე ეკონომიკის სამსახურს წარმოადგინოს ხედვა მიწისქვეშა გადასასვლელბთან დაკავშირებით.

**ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს წევრი)** მნიშვნელოვანია წევრებმა გაითვალისწინონ წესდებით გასაზღვრული ნორმა, რომ საბჭოს სამი სხდომის ზედიზედ გაცდენის შემთხვევაში საბჭოს შეუძლია მიმართოს მერს წევრის სტატუსის შეწყვეტის რეკომენდაციით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბოლო სამი თვე საბჭოს სხდომებს მერი არ დასწრებია.

**აზრი გამოთქვეს:** ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ომარ კიკვიძე, ლევან როხვაძე, ვლადიმერ კვიტატიანი, გია ცალანი, მამუკა თევდორაძე, თეიმურაზ ამყოლაძე, გიორგი ჭიჭინაძე, თამარ ხეცურიანი, მაია ყუფარაძე.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირების დასწრება აუცილებელია და მიეცეს რეკომენდაცია მერს და შესაბამის სამსახურებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საბჭოს სხდომებში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჯიქია ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე

დანართი:

გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N8 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭოს მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფა, შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცება, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამღლებასა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

**1. საბჭოს დაკომპლექტება და წევრები**

2018 წლის იანვარში საბჭოს თავჯდომარედ, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დაინიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ირაკლი შენგელია.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს დაკომპლექტება მოხდა ღია შერჩევის წესით, ელექტრონული განაცხადის შევსების გზით. წევრთა შერჩევისას ყურადღება მიექცა გენდერული საკითხებზე კომპეტენციას, გამოცდილებას და მუნიციპალური საბჭოს პირობებში საქმიანობის მოტივაციას.

აღნიშნული შერჩევის შედეგად ჩამოყალიბებული საბჭოს წევრთა სია, გენდერული თანასწორობის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ. საბჭო დაკომპლექტდა 20 წევრით და გააერთიანა ადგილობრივი თვითმმართველობა, მედია და არასამთავრობო სექტორი, ასევე, სამედიცინო სფეროსა და ბიზნესის წარმომადგენლები და ნეიროგანვითარების სპეციალისტი, ჯამში 16 ქალი და 4 მამაკაცი. საბჭოში წარმოდგენილია 7 საკრებულოს წევრი, 3 მედია საშუალება, 7 არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის 6 თანამდებობის პირი (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, მერიის სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილე). საბჭოში გაწევრებული საკრებულოს დეპუტატები სხვადასხვა ფრაქციებს წარმოადგენენ.

**2. საბჭოს სხდომები**

საბჭო პირველად შეიკრიბა მარტის თვეში და დღემდე ჩატარებული აქვს 20-

მდე შეხვედრა. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია და შეხვედრებზე განხილული საკითხები საჯაროვდებოდა საბჭოს თავმჯდომარისა და ასევე, საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე. საბჭოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები აქტიურად შუქდებოდა ტელევიზიებისა და სააგენტოების მიერ.

**3. საბჭოს დებულებაში განხორციელებული ცვლილებები.**

გენდერული საბჭოს ინსტიტუციური სრულყოფისათვის 2018 წლის ოქტომბერში საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილებები. ცვლილებათა პაკეტი ეხებოდა წევრთა რაოდენობის გაზრდის და ახალი წევრის მიღების პროცედურებს, საბჭოს წევრისათვის სტატუსის შეწყვეტის პირობების დაზუსტებას და სხვ.

**4. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა.**

საბჭომ საქმიანობა დაიწყო სამოქმედო გეგმის გაწერით. რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგად მიღებულმა დოკუმენტმა გაიარა არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგი და მათთან მჭიდრო კომუნიკაციის პირობებში მნიშვნელოვნად დაიხვეწა.

ამჟამად, მიმდინარეობს ჩამოყალიბებული გეგმის საფუძველზე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, მთლიანი გეგმიდან მოხდება გენდერული საბჭოს შიდა საქმიანობის გეგმის გამოყოფაც.

სამოქმედო გეგმა ორ წელზეა გათვლილი, განხორციელების ვადები კვარტალებად არის დაყოფილი და ჯამურად შემდეგ 4 მიზანს ემსახურება:

**გენდერული საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზანი**

საბჭოს კომპეტენციის და ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ეფექტიანი თანამშრომლობის დამყარება თვითმმართველობის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან და საჯარო სტრუქტურებთან.

**გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირების მიზანი**

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შემუშავებისა და განკარგვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, ქალთა საჭიროებების გამოვლენა ადგილზე, გენდერული ასპექტების ასახვა ბიუჯეტის პროგრამებში.

**განათლება და ცნობიერების ამაღლება, მიზანი**

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ქალაქის ახალგაზრდულ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება

**ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფერო**

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება

**3. გენდერული თანასწორობის საბჭოს შიდა გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებები**

საბჭოს წევრმა ორგანიზაციამ **"უფლებებისა და განათლებისათვის"** ქალთა ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (Women's Fund in Georgia) უზრუნველყო ტრენინგ-კურსის ორგანიზება საბჭოს წევრებისათვის ქალთა უფლებების, ლგბტ თემის წარმომადგენელთა და შშმ ქალთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის პოლიტიკის საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა გაიარეს **“ქალთა საინფორმაციო ცენტრის”**მიერ ორგანიზებული სპეციალური კურსი **“გენდერული თანასწორობის მექანიზმები, საქართველოს ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებები გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების კუთხით.”**

საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ **კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი “სოხუმის”** მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-ციკლში **“კომპლექსური მიდგომები ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში: გენდერული, სოციალური, პროგრამული და სამოქალაქო ბიუჯეტირება”**

**4. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული კამპანიები და ღონისძიებები**

**ნოემბრის თვეში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში საბჭომ ორგანიზება გაუწია საინფორმაციო შეხვედრათა ციკლს და ჯამში დაფარა 200-მდე ადამიანი.**

ციკლი ორი მიმართულებით განვითარდა: გენდერული თანასწორობის ძირითადი ტერმინების და საკვანძო საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. ციკლში სხვადასხვა ფორმით იყვნენ ჩართული საბჭოში გაერთიანებული ორგანიზაციები: ნაწილმა თავისი მომხსენებლები გამოყო შეხვედრების ჩასატარებლად, ნაწილმა შეხვედრებს უმასპინძლა თავიანთ სივრცეებში და დამსწრეთა მობილიზება უზრუნველყო.

ციკლში ჩაერთო: “კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი სოხუმი” “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”; სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი” (RICDOG), “აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი”; ქუთაისის 33-ე საჯარო სკოლა.

***ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის და გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობებისათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტმა მიიღო მადლობის წერილი ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის აპარატისგან.***

**საახალწლო მილოცვები გენდერული საბჭოს სახელით**

გენდერული საბჭოს სახელით დამზადდა საახალწლო მისალოცი პოსტერები (ელექტრონული). პოსტერებზე დატანილია საბჭოს წევრთა მიერ მოკვლეული და მოწოდებული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამები გენდერული თანასწორობის შესახებ. საგანგებოდ შექმნილი მისალოცი პოსტერების ალბომი განთავსებულია საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალურ გვერდზე.

**ადამიანის უფლებათა დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო კამპანია;**

ადამიანის უფლებათა დღეს (10 დეკემბერი) საბჭო სოციალურ სივრცეში ფოტო-სესიით გამოეხმაურა. საბჭოს წევრებმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტექსტიდან შერჩეული მუხლებით ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ფოტოები გადაიღეს და სოციალურ ქსელებში საბჭოს სახელით გაავრცელეს.

**ღონისძიება “ქალების სათქმელი”**

ღონისძიება ქალთა თვეში, 8 მარტის კვირეულის ფარგლებში გაიმართა და მასში 8 ქალი და 2 მამაკაცი იღებდნენ მონაწილეობას. ის მიზანად ისახავდა გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას; ქალთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების წარმოჩენას; პირადი ისტორიებითა და სათქმელით სხვა ქალებისთვის სტიმულის მიცემას; ქალების ღირსების და თავისუფლების განმტკიცებისათვის ხელშეწყობას.

ღონისძიებაში "ქალების სათქმელი" მონაწილეობისათვის საბჭომ მოიწვია და გააერთიანა ქალები, რომლებმაც "არაქალურად" მიჩნეულ სფეროებსა და პროფესიებში წარმატებებს მიაღწიეს; ქალები, რომლებსაც თავის დამკვიდრებისთვის ყოველდღიურ რეჟიმში, წინააღმდეგობრივად განწყობილი ტრადიციებით და სტერეოტიპებით სავსე გარემოში უხდებოდათ ბრძოლა; ქალები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური სტატუსის პირობებში მუდმივი დაბრკოლებების გადალახვის პროცესში არიან.

მომხსენებლებად წარსდგნენ: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; საკრებულოს წევრი ქალი ბიზნესის სფეროდან (ქალი ბიზნესში); ქალაქ ქუთაისის მერის ქალი მოადგილე (ქალი პოლიტიკაში); ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელი, ეტლით მოსარგებლე ქალი; აუტისტური სპექტრის შვილის დედა, ამავდროულად სამოქალაქო აქტივისტი; მორაგბე გოგონა, ქალაქის გოგონათა ნაკრების წევრი; ტყვიის მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; მხატვარი ქალი, ამავდროულად სამოქალაქო აქტივისტი; გენდერული თანასწორობის საკითხებში ექსპერტი მამაკაცი, სტუმარი თბილისიდან.

ღონისძიების ანონსში რეალურ მომხსენებელთა რაოდენობაზე ერთით მეტი მონაწილე ქალი იყო აღნიშნული. ამ ფორმით, უჩინარი მონაწილის სტატუსით ღონისძიებაზე ხაზი გაესვა "გამქრალი გოგონების" საკითხს, რაც სელექციური აბორტების სახით ქვეყანაში და მთლიანად, ამიერკავკასიის რეგიონში, ბოლო წლების კვლევებით მწვავე პრობლემად რჩება.

**4. გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა საბიუჯეტო ინიციატივები.**

გენდერული თანასწორობის საბჭომ, ქალაქის საფინანსო სამსახურის მიერ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობის შემდეგ, ჩამოაყალიბა საბიუჯეტო ინიციატივები. რამდენიმე კვირის მანძილზე მიმდინარეობდა ამ ინიციატივების განხილვა შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებთან და მსჯელობა მათ რეალისტურობაზე, სამსახურების ხედვასა და პრაქტიკაზე ინიციატივებთან მიმართებაში. აღნიშნული პროცესის შედეგად, ინიციატივათა საბოლოო ჩამონათვალის მიხედვით საბჭომ შეიმუშავა საბიუჯეტო ინიციატივები, რომლებიც საკრებულოს წარედგინა განსახილველად. სხვადასხვა საკომისიო მოსმენების გავლის შემდეგ რეკომენდაციათა პაკეტი აღმასრულებელ ხელისუფლებას წარედგინა და აღსრულების შესახებ შეთანხმება შედგა.

ამჟამად მიმდინარეობს ინიციატივათა აღსრულების პროცესის ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური სამუშაოები.

**ააიპ "მადლიერების სახლის" ბაზაზე და ბენეფიციარებისათვის საშრობის ფუნქციის მქონე სარეცხი მანქანის განთავსების შესახებ;**

ინიციატივის ხორცშესხმის შემდეგ, მადლიერების სახლის ბენეფიციარებს, კვების მომსახურების მიღების გარდა, ადგილზე შეეძლებათ სამრეცხაოს სერვისით სარგებლობაც. სამრეცხაო გათვლილი იქნება საყოფაცხოვრებო ქსოვილების რეცხვაზე და მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს პირობებს სოციალურად დაუცველ ოჯახებს, განსაკუთრებით ქალებს.

**მორიგე ბაღის დამატება; მორიგე ბაღის მუშაობის გახანგრძლივება; ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.**

ქალაქში ზაფხულის თვეებში მხოლოდ ორი საბვშვო ბაღი აგრძელებს ფუნქციონირებას. საბჭოს წევრი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაფიქსირდა მეტი მორიგე ბაღის არსებობის საჭიროება. საბჭოს მიერ მოხდა დამატებითი მორიგე ბაღის უზრუნველყოფის და მორიგე ბაღში აღსაზრდელთა რეგისტრაციის წესში ცვლილების შეტანის ინიცირება.

ინიციატივაზე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლების ერთობლივი მსჯელობის დროს შედგა შეთანხმება, წინასწარი რეგისტრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით მესამე მორიგე ბაღის დამატებაზე.

დამატებითი მორიგე ბაღის არსებობა და საცხოვრებელ სივრცესთან ახლომდებარე ბაღში ბავშვის მიყვანის შესაძლებლობა, მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მდგომარეობს მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებს, განსაკუთრებით კი დედებს.

2019 წლის ზაფხულისათვის უკვე გამოცხადებულია აღსაზრდელთა რეგისტრაცია ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად.

**კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი**

გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრებზე, გაჟღერდა კიკვიძის ძეგლის დემონტაჟის იდეა. კიკვიძის ძეგლი ქალაქის ერთ-ერთ დიდ სკვერში არის განთავსებული საბჭოთა პერიოდში და ემსახურება გენერალი კიკვიძის პატივგებას, რომელიც იყო წარმოშობით ქუთაისელი რევოლუციონერი 1914-1919 წლებში. ის ისტორიაში შევიდა როგორც წითელი გენერალი, რომელმაც რუსეთის რევოლუციური ხელისუფლების სახელით უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს უხელმძღვანელა. ამ ოპერაციების მიზანი იყო უკრაინაში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, პარტიზანული დაჯგუფებების განადგურება.

საბჭოს გადაწყვეტილებით, კიკვიძის ძეგლის არსებობა ქალაქში ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "თავისუფლების ქარტია" პრინციპებს. თავისი სულისკვეთებით წარმოადგენს საბჭოთა ტერორის შესახებ მეხსიერების გამამყარებელ ძეგლს. ამასთანავე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ ძეგლის შენარჩუნება წარმოადგენს ერთგვარ უპატივცემულობას უკრაინის იმ დამეგობრებულ ქალაქებთან, რომლებთანაც მრავალწლიანი, თანამშრომლობითი ურთიერთობა აქვს.

**5. შევიწროვების / სექსუალური შევიწროვების შესახებ ცვლილების ინიცირება.**

2018 წლის დეკემბერში შედგა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასთან "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გენდერულ საბჭოს გააცნეს შევიწროვების/სექსუალური შევიწროვების შესახებ თავიანთი ხედვა და ამ საკითხზე პარლამენტში განხილვის პროცესში მყოფი ცვლილებათა პაკეტი. აღნიშნულ შეხვედრაზე ორგანიზაციამ ასევე წარმოადგინა შევიწროვების/სექსუალური შევიწროვების საკითხების ადგილობრივ დონეზე, შინაგანაწესის დოკუმენტებში ასასახად ჩამოყალიბებული ნორმების მცირე, სახელმძღვანელო დოკუმენტი და საჩივრის ფორმები. 2019 წლის მაისში, მას შემდეგ რაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ზემოხსენებული ცვლილებათა პაკეტი, გენდერულმა საბჭომ რეკომენდაციით მიმართა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას, რათა ამ

უკანასნელმა უზრუნველჰყოს მუნიციპალიტეტის შინაგანაწესის მომწესრიგებელ დოკუმენტებში შევიწროვების საკითხების და მათზე რეაგირების ფორმების გაწერა, კერძოდ: შევიწროვების შესახებ ნორმების ჩამოყალიბება; საჩივრის ფორმის შედგენა; ამ ტიპის საქმეების განხილვის წესი და სხვ.

**6. გენდერული თანასწორობის მოდული მერიის ახალგაზრდულ ბანაკებში**

2019 წელს ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ ორგანიზებული ზამთრის ახალგაზრდულ ბანაკებში - "ლიდერთა სკოლის ბანაკი", ორივე ნაკადის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა მოდული გენდერული თანასწორობის შესახებ. აღნიშნული კომპონენტის ახალგაზრდული ბანაკის პროგრამაში ჩასმა გენდერული საბჭოს წევრთა ლობირების შედეგად იქნა მხარდაჭერილი.

ირაკლი შენგელია

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე